# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 205

„22“ ივლისი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მხატვარი ირინა შტენბერგის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მხატვარი ირინა შტენბერგის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X- 493,792.084
Y- 4,612,529.094
X- 493,780.178
Y- 4,612,503.614
X- 493,781.368
Y- 4,612,486.549
ირინა შტენბერგის ქ.
X- 493,743.070
Y- 4,612,271.813
X- 493,794.135
Y- 4,612,242.854